

თეა ბურჭულაძე

ზოგი უმართებულო სიტყვათმეხამების გავრცელების ტენდენციისათვის

ენის კულტურა ფართო ცნებაა და გულისხმობს მისი ყველა შესაძლებლობის, მათ შორის სტილისტიკურის, ფლობასა თუ სათანადოდ გამოყენებას. სტილისტიკის ძირითადი პრობლემა გადმოსაცემი შინაარსისა (სათქმელისა) და ენობრივი საშუალების (თქმულის) ურთიერთობაა [ჩიქობავა 2015: 303]. ამიტომაც ის ენობრივ შემოქმედებასთან დაკავშირებულ პრობლემათა ფართო სპექტრს მოიცავს – იქნება ეს სიტყვათა თანამიმდევრობა თუ სპეციალური გამომსახველობითი საშუალებები. ამავედროულად ტექსტის სრულქმნისა და დახვეწის საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართული ენისათვის ბუნებრივ სიტყვათმეხამებასა თუ სტილისტიკურად და აზრობრივად სწორად შერჩეულ ფორმებს. სტილის შემდგომი განვითარება და დახვეწა საზოგადოებისა და ცალკეული ადამიანის მეტყველების კულტურის ამოცანაცაა და მწვერვალიც, რადგან ყოველი მაღალკულტურული საზოგადოება თავისი ენის მაღალ კულტურაზე ზრუნავს, როგორც მისი თვითგამოხატვის მძლავრ საშუალებაზე [კვარაცხელია 1990: 249-254].

ქართული ენა მდიდარია სხვადასხვა სახის შესიტყვებითა და მყარი ფრაზეოლოგიური ფორმულებით. როგორც ცნობილია, ისინი სტილისტიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გამომსახველობითი ენობრივი საშუალებებია, რომელთა სიმრავლე როგორც წერიით, ისე ზეპირი მეტყველებისას გვიჩვენებს სალიტერატურო ენის სიმდიდრესა და მოქნილობას. სიტყვას ენის განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე სავსებით გარკვეული მნიშვნელობა აქვს. არ შეიძლება, რომელიმე სიტყვა ნებისმიერ სხვა სიტყვას დაუვუკავშიროთ. ამავე დროს ყოველ სიტყვას აქვს თავისი მყარი ადგილი ტრადიციულ სიტყვათმეხამებაში და სალიტერატურო ენის მომხმარებელთა უმეტესობა მათ იყენებს [თ. ზურაბიშვილი, ც. კალაძე 1980: 55-56].

ენაში დამკვიდრებული მყარი შესიტყვებები დღეს ხშირად უმართებულოდ გამოიყენება, ზოგჯერ კი ახლის შექმნისას შესი-

ტყვება იქმნება ორი ისეთი სიტყვისაგან, რომელთა შინაარსობრივად ერთმანეთთან დაკავშირება არ შეიძლება. სამეცნიერო ლიტერატურაში აღინშნულია, რომ თანამედროვე ქართულში ესა თუ ის ერთეული (სიტყვა თუ შესიტყვება) აზრობრივ-სემანტიკური თვალსაზრისით რამდენადმე შეუფერებელი, ზოგჯერ სრულიად გაუმართლებელი ენობრივი შტამპის სახით უკვე დამკვიდრებულია, სოციალური სანქციაც მოპოვებული აქვს და ამდენად, თითქოს, დარღვევად ვერ მივიჩნევთ [ქსკს 1985 : 3]. მიუხედავად ამისა, ახალ მოსალოდნელ დარღვევებათა თავიდან ასაცილებლად მასზე ყურადღების გამახვილება ყოველთვის საჭიროდ მიაჩნდათ. ცხადია, დასმული საკითხი დღესაც კვლავ აქტუალურია. უფრო მეტიც, მკვლევრები სამართლიანად მიიჩნევენ, რომ თანამედროვე ქართული ენის სიტყვათშეხამებათა ლექსიკონის სასწრაფოდ შექმნის საჭიროება დგას. ეს იმითაცაა განპირობებული, რომ კვლავ დღის წესრიგშია სტილისტიკური საკითხების პრობლემები რედაქციებისა და გამომცემლობების წარმომადგენელთა, ჟურნალისტთა ზეპირ და წერით მეტყველებაში, ყველასთან, ვისაც მეტ-ნაკლებად უწევს ლიტერატურული თუ საჯარო მოღვაწეობა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღეს, ერთი მხრივ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გზით ქართული სალიტერატურო ენის მოხმარების სფერო გაფართოვდა და, მეორე მხრივ, აშკარაა ახალ-ახალი ენობრივი შტამპების მოძალემა. ნიშანდობლივია, რომ ჩვენს ეპოქაში, როცა სერიოზულად იგრძნობა უცხო ენის გავლენა თუ კლიშეების გავრცელება-დამკვიდრება, განსაკუთრებული სიმძაფრით დადგება ამ სახის კვლევის გაგრძელების საკითხი. ვფიქრობთ, ახლა უფრო მეტადაც, რადგან სწორედ დღევანდელი მასმედიისა თუ პოლიტიკოსთა, საჯარო მოხელეთა მეტყველებაში ჭარბობს ქართული ენისათვის შეუსაბამო და არაბუნებრივი სიტყვათშეხამებანი. მასმედიის ენაში სიღრმისეულად აისახება ის ტენდენციები, რაც საზოგადოების განვითარებაში იჩენს თავს. საზოგადოდ, სალიტერატურო ენის ფუნქციონირების სფეროებიდან მასმედიის ასპარეზი ერთ-ერთი ყველაზე უფრო მგრძნობიარე და შეღწევადაა მიმდინარე სოციალური პროცესების, ყველანაირი საზოგადოებრივი ცვლილების მხრიდან [არაბული 2013: 307]. სწორედ ამიტომ სტილურ დარღვევათა ერთ გავრცელებულ შემთხვევაზე გავამახვილებთ ყურადღებას.

თანამედროვე მეტყველებაში მზა სიტყვათშეხამებების გვერდით გახშირდა ისეთი გამოთქმები, როგორებიცაა: **საკითხში არ შევალ, კამათში არ შევალ, სტატისტიკაში არ შევალ, შინაარსში არ შევალ, თემში არ შევალ, დეტალებში არ შევალ**: „მე ახლა ამ სტატისტიკაში არ შევალ“, „არაადეკვატურ ადამიანებთან მე კამათში არ შევალ“, „ჩანაწერების შინაარსში ვერ შევალ“, „დეტალებში არ შევალ, ეს ყველაფერი ცნობილი და ნათელია“, „ავთენტურობა მნიშვნელოვანი საკითხია, ახლა ამ თემებში არ შევალ“... (წინადადებები მოგვყავს მასმედიიდან, ჟურნალისტებისა თუ რესპონდენტების მეტყველებიდან). ეს ფორმები განსაკუთრებით საჯარო მოხელეთა თუ პოლიტიკოსთა მეტყველებაში ისმის. როგორც ჩანს, მოყვანილმა გამოთქმებმა ოფიციალურ-საქმიანი სტილის ნიუანსები შეიძინა და ახლა ჩვენ თვალწინ მკვიდრდება როგორც მყარი შეხამებანი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დასახელებული ფორმები გაბმული მეტყველებისათვის არის ნიშანდობლივი, ამ ეტაპზე წერით მეტყველებაში ჯერ არ ჩანს გავრცელებული. საინტერესოა ისიც, რომ აღნიშნული ტიპის შესიტყვებები ჯერჯერობით მხოლოდ უკუთქმით წინადადებებში გამოიყენება, წართქმითი შინაარსით (საკითხში შევალ, კამათში შევალ, სტატისტიკაში შევალ, დეტალებში შევალ...) ისინი ვერ დავადასტურეთ.

ცხადია, ეს შესიტყვებები გაჩნდა ქართულის ბუნებრივ შეხამებათა ნაცვლად – საკითხს, სტატისტიკას, შინაარსს, დეტალებს, თემას არ განვიხილავ / არ შევეხები, ან საკითხზე, შინაარსზე, დეტალებზე, თემებზე, სტატისტიკაზე არ ვისაუბრებ / არ შევჩერდები. რაც შეეხება შესიტყვებას **კამათში არ შევალ**, მისი ორგანული წარმოება **არ ვიკამათებ**. როგორც ვხედავთ, ენას მრავალი საშუალება აქვს სათანადო შინაარსის ბუნებრივი ფორმებით გადმოსაცემად. აქ ხაზგასასმელია ერთი ფაქტი – ქართულში დიდი ხანია დამკვიდრდა მყარი სიტყვათშეხამებანი: **ხანში შესვლა/ხანში შესული/ხანში შევიდა, ეშხში შესვლა/ეშხში შესული/ეშხში შევიდა, როლში შესვლა/როლში შესული/როლში შევიდა**. ხომ არ არის ჩვენ მიერ დასახელებული სიტყვათშეხამებანი ამ ფორმათა ანალოგიით მიღებული? აღსანიშნავია, რომ ისინი ბოლო ხანს უცბად გავრცელდა ენაში, თანაც ერთდროულად გაჩნდა ამგვარი რამდენიმე სიტყვათშეხამება. ამიტომ ძველი მყარი გამოთქმების მსგავსად ჩამოყალიბებული არ უნდა ჩანდეს. ვფიქრობთ, ეს შესიტყვებები ინგლისური ენის გავლენით

ნით დამკვიდრდა ქართულში (მაგალითად, to go into details – დეტალებში შესვლა). შეიძლება ვისაუბროთ რუსული ენის გავლენაზეც – вступил с ним в спор (კამათი დაუწყო), вступить в пререкание (დავის ატეხა). ვფიქრობთ, სწორედ ამ სიტყვათმეხამებათა მსგავსად შეიქმნა **თემაში არ შევალ, სტატისტიკაში არ შევალ** სახის შესიტყვებებიც... ამ სახის კალკირებული მყარი შეხამებანი საფრთხეს უქმნიან ენის გრამატიკულ სტრუქტურას.

ყურადღება გვინდა გავამახვილოთ დღეს გავრცელებულ კიდევ ერთ ფორმაზე – ესაა **შემხებლობა/შემხებლობაშია**. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვა **შემხებლობა** არაა შეტანილი, მაგრამ არის **შემხები** და **შემხებელი**. როგორც ჩანს, სწორედ ამ მიმდებარე ფორმიდან (შემხებელი) არის ნაწარმოები სიტყვა **შემხებლობა** -ობა სუფიქსის დართვით: „ამ დასკვნაში დაყენებულია ყველა იმ პირის პასუხისმგებლობა, რომელიც **შემხებლობაში** იყო ხორავას ქუჩაზე მომხდარ დანაშაულთან“; „გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, იკითხებიან თიბისი ბანკის საქმესთან **შემხებლობაში** მყოფი პირები“; „გამომიება არასწორი გზით მიდის, გამოკითხულია რამდენიმე პირი, რომლებიც საერთოდ საქმესთან **შემხებლობაში** არ არიან“; „ამ აქციასთან დაკავშირებით შემიძლია მოგახსენოთ, რომ ეს აქცია არანაირ **შემხებლობაში** არ არის წინასაარჩევნო კამპანიასთან (მასალა მოგვყავს პოლიტიკოსთა, საჯარო მოხელეთა და ჟურნალისტთა ზეპირი მეტყველებიდან).

ეს ფორმა – **შემხებლობა/შემხებლობაშია** მოვიძიეთ კონტექსტების მიხედვით და აღმოჩნდა, რომ ის მხოლოდ იურიდიულ საკითხთა ამსახველ ტექსტებში გამოიყენება. სხვა შინაარსით არ დადასტურდა. პოლიტიკოსები, საჯარო მოხელეები თუ მედიის წარმომადგენლები მას მხოლოდ ამ დანიშნულებით იყენებენ ზეპირ და წერით მეტყველებაში. როგორც ჩანს, ის ჩვენ თვალწინ ჩამოყალიბდა როგორც სპეციფიკური ტერმინი. ამიტომ **შემხებლობაში** ფორმას არ განვიხილავთ ზემოთ დასახელებულ სიტყვათა გამოყენების თანაფარდად. თუმცა, ვფიქრობთ, ქართულისათვის უფრო ორგანული იქნებოდა შემდეგი ბუნებრივი შესიტყვების გამოყენება: ამ დასკვნაში დაყენებულია ყველა იმ პირის პასუხისმგებლობა, რომლებიც **დაკავშირებული იყვნენ** ხორავას ქუჩაზე მომხდარ დანაშაულთან; გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, იკითხებიან თიბისი ბანკის საქმესთან **დაკავშირებული** პირები; ამ აქციასთან

დაკავშირებით შემიძლია მოგახსენოთ, რომ ეს აქცია **არ უკავშირდება** წინასაარჩევნო კამპანიას. შესაძლოა **შემხებლობა/შემხებლობაში** ფორმები გაჩნდა სათქმელის უფრო ლაკონიურად და სხარტად გამოსახატავად და სპეციფიკურ იურიდიულ ტერმინად ჩამოყალიბდა.

სტილის თვალსაზრისით საინტერესო ჩანს კანონთა ენისა და სახელმწიფო დოკუმენტებისათვის დამახასიათებელი (კონცეფციები, პროექტები, კანონები...) ზოგი სტილისტიკური თავისებურებანი. სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ აღუნიშნავთ მასში ჭარბად გამოყენებული **-ში** თანდებულიანი უმართებულო ფორმების შესახებ. მათ შორის მრავლად დადასტურდა **პროფესიაში შესვლა/პროფესიაში მყოფი/პროფესიაში არსებული მასწავლებლები** ტიპის შესიტყვებათა შემცველი წინადადებები (მასალა მოგვყავს ვებგვერდიდან matsne.gov.ge): „მასწავლებელთა **პროფესიაში შესვლის** ამგვარი მოდელი მოსახერხებელია საქართველოსათვის“; „პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებისას გათვალისწინებულია როგორც ამჟამად **პროფესიაში მყოფი**, ასევე მომავალი მასწავლებლები“; „ეს მოდელი გულისხმობს **პროფესიაში არსებული მასწავლებლებისათვის** პედაგოგიური კურსის შესაძლებლობის უზრუნველყოფას“; „**პროფესიაში ყოფნისას** მასწავლებელს შეუძლია ჩაერთოს უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამით გათვალისწინებული სხვადასხვა ტიპის აქტივობებში“; მოყვანილ წინადადადებებში გამოყენებული შესიტყვებები: **პროფესიაში ყოფნისას, პროფესიაში მყოფი, პროფესიაში არსებული, პროფესიაში შესვლა** – არაა ბუნებრივი ქართულისათვის. უფრო მეტიც, ისინი ხელოვნური შეხამებანია, შესაბამისად, არც შინაარსობრივადაა გამართული (გასაგები) და – არც სტილურად, იწვევს აზრობრივ ბუნდოვანებას. მოყვანილ შესიტყვებებში ყველგან იგულისხმება პროფესიული განათლების მქონე პირები, მასწავლებლები, პროფესიული განათლების მიღება... წინადადებები კი ასე გაიმართება: ეს მოდელი გულისხმობს **პროფესიული განათლების მქონე მასწავლებლებისათვის** პედაგოგიური კურსის გავლის (შესაძლებლობის) უზრუნველყოფას // **პროფესიული განათლების განხრით მომუშავე/მოღვაწე** მასწავლებლებისათვის პედაგოგიური კურსის გავლის (შესაძლებლობის) უზრუნველყოფას; **პროფესიული განათლების დაუფლები-სას** მასწავლებელს შეუძლია ჩაერთოს უწყვეტი პროფესიული განვი-

თარების პროგრამით გათვალისწინებულ სხვადასხვა ტიპის აქტივობაში; მასწავლებელთა **პროფესიული განათლების მიღების // პროფესიის დაუფლების** ამგვარი მოდელი მოსახერხებელია საქართველოსათვის; **პროფესიის საფუძვლიანად დაუფლებამდე** მომავალ მასწავლებლებს დამატებით უნდა ჰქონდეთ გავლილი მინიმუმ 3-წლიანი პროფესიული განათლება და 9-თვიანი პროფესიული პრაქტიკა. აღარაფერს ვამბობთ ეგერთწოდებულ ტერმინზე – **პროფესიული მასწავლებელი...** ამ ფორმებთან ერთად ჩვენ მიერ ზემოთ მოხმობილ წინადადებებში დარღვეულია გადმოსაცემი შინაარსისა და ენობრივ საშუალებათა ურთიერთობა. სტილი კი განისაზღვრება, როგორც „სათქმელის (აზრის) ენობრივი გამოხატულების თავისებურება“ [ქართული სახელმწიფო ენის ოფიციალურ-საქმიანი სფერო 2017: 14]. ცხადია, სწორედ ეს არის სტილისტიკის ძირითადი პრობლემა. ენის მაღალი კულტურისათვის არაა საკმარისი, რომ წინადადება მხოლოდ გრამატიკულად იყოს სწორი. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სტილსაც [ბასილაია 1991: 23] ამიტომ, მართალია, ფრაზეოლოგიზმთა და მყარ გამონათქვამთა გამოყენება უფრო გამომსახველსა და მოქნილს ხდის სათქმელს, მაგრამ, როდესაც ამგვარ გამონათქვამებში შეცდომები დასტურდება, მაშინ ისინი კარგავენ თავიანთ ღირებულებას და ფრაზას ამახინჯებენ. ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი შესიტყვებები კი სწორედ ასეთი „დანაშნულებისა“ და ქართული ენისათვის არაბუნებრივ, ხელოვნურ ფორმებს ქმნიან.

ცხადია, იგივე ითქმის ოფიციალური დოკუმენტების შედგენისას დადასტურებულ უხეშ სტილისტიკურ დარღვევებზე, მითუმეტეს, როცა ეს კანონთა ენას შეეხება, მეტი სიფრთხილეა საჭირო, რათა მასში ქართული ენის გამომსახველობითი საშუალებები სწორად და, რაც მთავარია, ენისათვის ბუნებრივი ფორმებით იყოს წარმოდგენილი.

ლიტერატურა

არაბული 2013 – ავთ. არაბული, ენა ჩვენი არსობისა, თბილისი.

ბასილაია 1991 – ნ. ბასილაია, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბილისი.

ზურაბიშვილი, კალაძე 1980 – თ. ზურაბიშვილი, ც. კალაძე, მნიშვნელობის თვალსაზრისით შეუფერებელი სიტყვათშეხამებანი თანამედროვე ქართული პრესის ენაში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მესამე, თბილისი.

კვარაცხელია 1990 – გ. კვარაცხელია, ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბილისი.

ქართული სახელმწიფო ენის ოფიციალურ-საკმეიანი სფერო – საჯარო მოხელის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი 2017, თბილისი.

ქართული სიტყვის კულტურის საკითხები 1985 – წინასიტყვაობა, თბილისი.

ჩიქობავა 2015 – არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, შრომები, X, თბილისი.

Tea Burchuladze

On the Tendency of Spreading Some Incorrect Syntagms

Summary

The Georgian language is rich in various types of syntagms and fixed phraseological units. As known, they are important expressive linguistic means in terms of stylistics. In the modern speech, along with common syntagms, a number of inappropriate phrases are frequently used, e.g. *saḡitxšī ar ševal* “I do not refer to the issue”, *ḡamatšī ar ševal* “I do not argue”, *štatistḡikašī ar ševal* “I do not refer to statistics”, *šinaarsšī ar ševal* “I do not refer to the content”, *temašī ar ševal* “I do not refer to the issue”, *deḡalebšī ar ševal* “I do not refer to the details”.

It is obvious that such syntagms have emerged instead of Georgian natural expressions – *saḡitxs*, *štatistḡikas*, *šinaars*, *deḡalebs*, *temas* *ar ganvixilav/ar ševexebi*, or *saḡitxze*, *šinaarsze*, *deḡalebze*, *temebze*, *štatistḡikaze* *ar visaubreb/ar ševčerdebi*. As for the syntagm *ḡamatšī ar ševal*, its correct form is *ar viḡamateb*. It is noteworthy that they have recently

spread in the language very fast and they do not seem to be as completely formed as the old fixed expressions like *rolši šesvla/rolši šesuli*, *ešxši šesvla/ešxši šesuli*, *xanši šesvla/xanši šesuli*.

We think that these syntagms have entered the Georgian language under the influence of English (e.g. to go into details – *deṭalebšī šesvla*). We should also mention the influence of the Russian language in this regard – *вступил с ним спор (ḳamati dauḳgo)*, *вступить в пререкание (davis aṭexa)*. The above-mentioned syntagms have been created the same way as the latter ones. These forms are calques and are a danger to the grammatical structure of the language. The phrases with the postposition **-šī** attested in the language of the state documents are incorrect as well, e.g. *propesiaši šesvla/propesiaši mḡopil/propesiaši arsebuli maṣavleblebi*.

The forms like *šemxebloba/šemxeblobašīa* that have emerged to express ideas laconically should be discussed separately. It is considered to be an official form and has been established as a legal term. As it seems it has been formed as a specific term in front of us and that is why we do not consider using the form *šemxeblobašī* to be equal to the one of the above-mentioned words.